საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა "16" 07 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1057/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 9 ივლისის N23479 განცხადებით შპს "იმედი 2010"-ის (მის.: კახეთის გზატკეცილი 112-ე კმ., 0190 თბილისი, საქართველო) დირექტორმა იმედო ხელაიამ მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „ROYAL CHAMPION როიალ ჩემპიონი РОИАЛ ЧЕМПИОН" (რეგ. N23481) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით რეგისტრაცია სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში. სასაქონლო ნიშანი „ROYAL CHAMPION როიალ ჩემპიონი РОИАЛ ЧЕМПИОН" (რეგ. N23481) საქართველოში რეგისტრირებულია 25.03.2013 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 25.03.2023 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია მე-7 კლასის საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" და „დ" ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სასაქონლო ნიშანზე „ROYAL CHAMPION როიალ ჩემპიონი РОИАЛ ЧЕМПИОН" (რეგ. N23481) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით (მოთხოვნის რეგისტრაციის N326, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 16.07.2013).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი რევაზ თაბუკაშვილი

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; შპს "იმედი 2010"-ის დირექტორს იმედო ხელაიას (მის.: ჩარგლის ქ. N 56, თბილისი, საქართველო).

ასლი დედანთან სწორია
"16" 07 2013 წ.
ხელმოწერა

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ROYAL CHAMPION
როიალ ჩემპიონი
РОИАЛ ЧЕМПИОН

ნიშანი:

რეგისტრაციის N: **23481**

მფლობელი: **შპს იმედი**

მისამართი: **კახეთის გზატკეცილი 112-ე კმ., 0190, თბილისი, საქართველო**

კლას(ებ)ი: **7 - სასოფლო-სამეურნეო იარაღები.**